ცნობის ფურცელი

№ 2603, კვირა, 5 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2603

გაზეთისა: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. [illegible]ის-მორე და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში [illegible] სამ[illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის
კერძო სამკურნალო
[illegible] დ-რ ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. [illegible]დიანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა [illegible] ელექტრონით 12—1 ს.
[illegible]ასამიძე.—აშარდვს, ქირურგია, ვენერ. [illegible]ვანისა 11—12 საათამდე.
გ. ტ. [illegible]იანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათ.
ა. ი. ბაგრატიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს
არ. ვ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ 1—3 საათამდე.
გ. ა. [illegible]ირი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
ქალი მ. ძ. [illegible]ლიანი.—ქალისა და სა[illegible] [illegible]ამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
[illegible] მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვე[illegible] [illegible] ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. [illegible]—12 საათამდე.
[illegible]ილაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. [illegible] და შაბათ. 5—6 ს.

[illegible]ანალიზში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული [illegible] [illegible]როსკოპიული ამოკვლევანი.

[illegible]ურნალოს აქვს [illegible] მუდმივი საწოლი.

[illegible] რჩევისა და [illegible]ბისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. ნაცტები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიამინოვსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი B. [illegible]

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახლშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
[illegible] ავადმყოფებს დილის 9—2-მდე და საღამოს [illegible] [illegible] —10—1-მდის.

[illegible] ნადი
მი[illegible]ევანიშვილი
[illegible] საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 8, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ა. ნ. [illegible]ახამიძე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ფოტოგრაფიის ზემოდ. [illegible]დებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—16)

კბილის ექიმი
კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—4)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—5)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
საგანგებო კრება
(გაგრძელება 29 მარიამობისთვის კრებისა)
დანიშნულია 5 ენკენისთვისათვის ამხანაგობის ახალ ქარხანაში (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 25) დილის 8 საათზედ.

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა წევრებს ერთმანერთს შეატყობინონ ეს განცხადება და მობრძანდნენ აღნიშნულ დროზედ.

(2—2) გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე.

კავკასიის ტიპების ფერად წამლებით
ხატვას ვასწავლი.



თვეში—20 მ. სეანსი 2 საათ.—4 საათ. 1 მ.
მოსწავლეთ 1/2.
ჩუღურეთი. გონჩარნი ქუჩა, სახლი № 28.
(3—3) მოსე თოიძე.

პანსიონი
[illegible]სანდლის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
[illegible]ბიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე [illegible] მოსა[illegible] და აგრეთვე საზემლემერო
(150—218—30)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს მის მიერ დაფუძნებულ ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში იხსნება მხოლოდ მესამე კლასი. ამ კლაში იქნება ორმოცი ადგილი. მიღებულ იქმნებიან ის ყმაწვილები, რომელნიც დაიჭერენ სამოქალაქო სასწავლებლის [illegible] პირველ კლასის (განყოფილების) ეგზამენს. გამოცდა დაიწყება თერთმეტ (11) სექტემბრიდან. თხოვნები უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე ჭიათურაში ეგზამენის დაწყებამდე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ წლოვანების და ყვავილის აცრის მოწმობა. ფოსტით გამოსაგზავნ თხოვნის ადრესი Чiатури Инспектору городского училища (1—6.—1)

ქალთა სასწავლებელი და პანსიონი
მ. გ. ზავრიევისა.
მიიღებიან მხოლოდ ქალები საშუალო სასწავლებლებში მოსამზადებლად.
მიხეილის ქუჩა, № 79. (3—300—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 სექტემბერი

ოტტავა (კანადა), 2 სექტემბერი. ამბობენ, იაპონიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს კანადაში ცხენების ყიდვის შესახებ. ეს ცხენები საზამთროდ უნდათ მანჯურიის ჯარისთვის. აქაური ცხენი იაფია და ამტანი, ამასთან სუსხიან ზამთარში შეუძლიანთ უსაჯინიბოდაც გასძლონ.

კოპენჰაგენი, 2 სექტემბერი. საიდუმლო იაპონელი, რომლის შესახებ უკვე სწერდნენ, ნიბორგში გაჩნდა, სადაც, ტაპკიკავოს სახელით, ერთ სასტუმროში ჩამოხტა. ამ ქალაქიდან რამდენიმე დეპეშა გაუგზავნა იაპონიის საელჩოს ბერლინში. 2 სექტემბერს იაპონელი სკაგენში მივიდა. პოლიცია მუდამ თვალ-ყურს ადევნებს.

ბერლინი, 3 სექტემბერი. მიღებულ იქნა პოლკოვნიკ გედკეს დეპეშა, ტელინიდან გამოგზავნილი 2 სექტემბერს. კუროპატკინის დაწევა უკან, აღმოსავლეთის მხარეს, სრულის წესითა და რიგით მოხდა. ერთ ხანად კუროპატკინი კუროკის ჯარსაც-კი ემუქრებოდა. იაპონელებმა ვერ გაბედეს იერიშის მიტანა მუკდენის სამხრეთით მდებარე პოზიციებზე, რადგან დიდი ზარალი მოუვიდათ. ამ ჟამად იაპონიის ჯარი აღმოსავლეთისაკენ მოქმედებს. ზარალი იაპონელებისა ოფიციალურ მოხსენებაში აღნიშნულზე მეტია. ლიაოიანის გარშემო ჯერ კიდევ არ აუკრეფიათ ყველა მოკლულთა გვამი. 14 ათასამდე დაჭრილი რუსი ხარბინში გაიგზავნა. მუკდენის სამხრეთითა და აღმოსავლეთით რუსის ჯარი მზად არის საბრძოლველად. ლიაოიანის ბრძოლა მართლაც არ იყო საბოლოო.

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი („რეიტერის სააგ.“). ტრანსპორტის „ლენა“-ს კაპიტანმა ბერლინსკიმ სურვილი განაცხადა იარაღის აყრაზე და ეს ამბავი ადმირალს გუდრიჩს აცნობა. სახელმწიფო დეპარტამენტის სეკრეტრის თანაშემწემ დეპეშით ბრძანება გასცა, რომ „ლენა“ ნავთ-სადგურიდან არ გაგზავნონ. რუზველტმა მოიწონა სახელმწიფო დეპარტამენტის განზრახვა „ლენა“-ს არ გაშვების შესახებ. საქმე მეზღვაურთა შესახებ შემდეგში გადასწყდება. რუსეთის საელჩომ სიამოვნება განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკის მთავრობამ ნება დართო, „ლენა“-ს იარაღი აიყაროს.

ვაშინგტონი, 3 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ტრანსპორტის „ლენა“-ს შუამდგომლობის თანახმად, პრეზიდენტი დასთანხმდა, რომ გემი იარაღის აყრის შემდეგ შეკეთდეს. კაპიტანმა ბერლინსკიმ ხელი მოაწერა ქაღალდს, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ლენა“ ომის გათავებამდე სან-ფრანცისკოდან არ წავა. აფიცრებმა და მატროსებმა პატიოსან სიტყვით უნდა აღუთქვან, რომ ნავთსადგურიდან არ წავლენ იმ დრომდე, ვიდრე ამერიკის მთავრობა რუსეთისა და იაპონიის მთავრობებთან ერთად არ გადასწყვეტს იმათ საქმეს.

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი, რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა, რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ ენკენისთვიდან წლის დამლევამდის ღირს 2 მან. 60 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

შანჰაი, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). იაპონიის მთავრობამ დაამტკიცა მაკ-ლივი-ბრაუნი კორეის დამოენების დირექტორად. იაპონელებმა ლიაოიანში წესიერება აღადგინეს და ბაზრები გახსნეს. იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს 21 ვაგონი დიდ ძალის სურსათით. იაპონიის მარჯვენა ჯარმა დაასაფლავა 1300 მოკლული რუსი, შუალა ჯარმა—800 რუსი და მარცხენამ—1000 რუსი.—მუკდენისკენ არავითარი მოქმედება არ არის. რუსის ორი დივიზია და ცხენოსანთა პატარა რაზმი მდინარე ხუნის სამხრეთითაა.

ტოკიო, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). საზოგადოების ყურადღება ჯერ ისევ პორტ-არტურისკენ არის მიქცეული. ელიან, რომ მალე განახლდება ბრძოლა ციხის ასაღებად.—მცოდნე კაცები იმ აზრისანი არიან, რომ ომი გვიან გათავდება.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). ოიამამ ფორმალური ბრძანება მიიღო, როცა ჯარი წინ სვლას შეიძლებს, განაახლოს მოქმედება და ზამთრამდე საერთო იერიში მიიტანოს რუსის ჯარზე. თუ რუსებმა უკან დაიხიეს, ოიამა დევნას დაუწყებს თავის სამისავე არმიით. ამბობენ, ეს ბრძანება თვითონ მიკადომ გაგზავნაო, უფრო იმიტომ, რომ ვერ განხორციელდა გეგმა ოიამასი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა შემორტყმოდა რუსის ჯარს ლიაოიანში. იაპონიის მთავარი შტაბი შეწუხებულია იმის გამო, რომ კუროპატკინმა მოხერხებულად გაიყვანა ჯარი და უშველა თავს. ოიამამ უნდა აღადგინოს წინანდელი სახელი, იაპონელთა აზრით, ამ ომში დაკარგული. ამ ჟამად იაპონელთა მანჯურიის ჯარი ძალზე დასუსტებულია. იაპონიის სალდათები სურსათს საჭიროებენ. შეიძლება რამდენიმე კვირა კიდევ გავიდეს, ვიდრე ოიამა ხელ-ახლა გალაშქრებას შეიძლებს. ამბობენ, პირველ ოქტომბრამდე იაპონელებს ბრძოლის ველზე ახალ ჯარს მიაშველებენ, სახელდობრ 100 ათას კაცს და 100 ზარბაზანსაო. ეს ჯარი გაიგზავნება კუნძულ იეზოდან, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს და რომლის მცხოვრებნიც უფრო შეჩვეულნი არიან სუსხიან ზამთრებს.

ტიანძინი, („რეიტ. სააგენტო“). სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ ბარონმა კომურამ შეადგინა ნოტაო. ამ ნოტაში ნათქვამია, რომ იაპონელებს აზრადა აქვთ, ომის შემდეგ პორტ-არტური ჩინეთს დაუბრუნონ, ამასთან ფიქრობენ, რომ ჩინეთი პორტ-არტურს სავაჭრო ნავთსადგურად გამოაცხადებსო. იმავე წყაროდან იუწყებიან, რომ მუკდენის აღების შემდეგ იაპონელებს განზრახვა აქვთ სახალინი დაიპყრონ. შემდეგ იაპონელები მზად იქნებიან მიიღონ წინადადება ზავის ჩამოგდების შესახებ; ამასთან საზავო პირობაში შემდეგი მუხლები უნდა იქმნას შეტანილი: მანჯურიის რკინის გზის კონტროლი გადაეცემა საერთაშორისო სინდიკატს; გზა საკომერციო საქმედ ჩაითვლება და იმისი მართვა-გამგეობა მიენდობა ხსენებულ სინდიკატს; რუსეთმა უნდა გადაუხადოს იაპონიას კონტრიბუციად ასი მილიონი გირვანქა სტერლინგი და დაუთმოს იაპონიასვე ყველა ის გემები, რომელიც ჩინეთის წყლებშია.

ვიქტორია, (ინგლისის კოლუმბია). 3 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ინგლისის კრეისერ „გრაფტონ“-ის მეზღვაურები იუწყებიან, რომ რუსეთის კრეისერი „კორეა“ კუნძულ ვანკუვერის ჩრდილოეთითაა და სამხრეთისკენ მიდისო. ამ კრეისერს ესკიმოსებში ელიან.

შანჰაი, 2 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). ბოლო დროს პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით, იაპონელთა პირველ დივიზიას იერიში მიაქვს ციხის დასავლეთ მხარეზე, მეცხრე დივიზია ცენტრში მოქმედებს და მეორე დივიზია აღმოსავლეთ მხარეზე. ყველაზე მეტად დაზარალდა მეორე დივიზია, მეცხრე დივიზიას კი ამ მხრივ მეორე ადგილი უჭირავს. მეშვიდე საარტილერიო პოლკის ყველა აფიცერი მოკლული და დაჭრილია; სხვა პოლკების ზარალი ამ პოლკისაზე ცოტათი ნაკლებია. ერთ პოლკში მხოლოდ სამი პოდპორუჩიკი გადარჩა, სხვა პოლკებში კი მხოლოდ უნტერ-აფიცრები გადარჩნენ. იაპონელებმა მოხერხებულად დაიპყრეს სიმაგრე პალიჯუანი: ორი სალდათი ფარულად მიფორთხდა რუსების სანგრებთან და შიგ რამდენიმე ყუმბარა ჩააგდო; ამ ყუმბარებმა იმდენი ხალხი ამოსწყვიტა, რომ რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაწეულიყვნენ.

მუკდენი, 3 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსის არმია ამ ჟამად მუკდენშია თავ-მოყრილი. ვაჭრობა განახლდა ჩვეულებრივის წესით. ქალაქში სიწყნარეა; რუსეთ-ჩინეთის ბანკი ისევ გაიხსნა. ყველას აკვირვებს ის გარემოება, რომ იაპონელებს არ განუგრძიათ რუსების დევნა. ერთი კაცი, რომელიც ზურგის ჯართან იყო ლიაოიანის სამხრეთით მუკდენისკენ დაწევის დროს, ამბობს, იაპონელები იმიტომ არ გამოუდევნენ უფრო შორს რუსის ჯარს, რომ 10 დღის განმავლობაში 40 ათასი კაცი დაჰკარგეს და მეტად მოქანცულები იყვნენო. ხმებია, იაპონელები ლიაოიანის ირგვლივ სიმაგრეებს აშენებენ და მდინარე ტაიძიხეზე ხიდები შეაკეთესო.—მუკდენში წითელ ჯვრის საავადმყოფოებში ლიაოიანის ბრძოლის დროს დაჭრილი 12 ათასი სალდათია.

ბერდიანსკი. სათადარიგო ჯარის კაცთა მობილიზაცია და ცხენების მიყვანი სრულის წესით სწარმოებს.

კელნი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი აცხადებს, „ტაიმს“-ის ამბავი, რუსეთ-გერმანიის შორის არსებულ საკავშირო ხელშეკრულობის შესახებ, ამ გაზეთის გამოგონილიაო. დღევანდელ საქმის ვითარების დროს, როცა არავინ იცის, რანაირად დატრიალდება რუსეთ-იაპონიის ბრძოლა შორეულ აღმოსავლეთში, უსაფუძვლო გამბედაობა იქნებოდა ხელშეკრულობის დადება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. ყველა ეს ისე აშკარაა, რომ ამაზე ლაპარაკიც-კი მეტია, მაგრამ, სამწუხაროდ, სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ინგლისის გაზეთი „ტაიმს“-ი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უსაფუძვლო ეჭვი აღუძრას იაპონიას გერმანიის მიმართ.

უფა. გაიარა კრეისერის „გრომობოი“-ს ყოფილმა უფროსმა, ფლიგელ-ადიუტანტმა დაბიჩმა, რომელსაც 17 ჭრილობა აქვს.

კოპენჰაგენი. იაპონიის ფლოტის კაპიტანმა ტაკიხავამ ამ დღეებში დაიარა ქალაქები კორზერი და ნიბორგი და კონცხი სვატენი და საღამოს გერმანიაში წავიდა. პოლიცია კვალში უდგა კაპიტანს და ყველა იმის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდა.

ჩიფუ, 3 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“). 26—28 აგვისტომდის იაპონელებმა იერიშით აიღეს სიმაგრე, რომელიც მდებარეობს მაღალ გორაკზე, ოქროს გორის აღმოსავლეთით, 2 მილის მანძილზე. ბრძოლა ცხარე არ იყო. იაპონელებს შეძლება მიეცათ შეენარჩუნებინათ ეს სიმაგრე, რადგან რუსებს ოქროს გორაზე ცუდი თოფის წამალი ჰქონდათ და მათი ნასროლი ბევრი ყუმბარა ნი-

შან ვერ აღწევდა და არ სკდებოდა. ეს ამბავი მოიტანა ერთმა ჩინელმა, რომელიც 29 აგვისტოს წამოსულა პორტ-არტურიდან. ეს ჩინელი ამბობს, იაპონელებს მიწაში გვირაბი გაჰყავთ რუსების სიმაგრეებისკენ და იმათი აფეთქება უნდათო. სამუშაო მეტად მძიმეა. საქმე ნელა მიდის და შესაძლებელია, რომ უნაყოფო დარჩესო. რუსებმა ნაღმები ჩააწყეს ყველა შენობის ქვეშ, რომლებიც იაპონელებს გამოადგება, და თუ იაპონელები ქალაქში შევლენ, ააფეთქებენ ამ შენობებს.

მოსკოვი. გერმანელთა კლუბი ჰმართავს სავადმყოფოს 20 საწოლით.

გოუზანძი. სინმინტინის რკინის გზის გაყოლებაზე არც ერთი იაპონელი არა სჩანს. რუსებს უჭირავთ მუკდენიდან სინმინტინისკენ მიმავალი დიდი გზა. რუსების მარჯვენა ფრთეს იცავს მთელი კორპუსი, მდინარე ხუნხეს ჩრდილოეთით. იაპონელებს ისევ გადაჰყავთ მაშველი ჯარი ნიუ-ჩუანში და მდინარე ლიაოხეთი ჩრდილოეთისკენ ჰგზავნიან. ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ ზოგიერთმა უცხოელმა კორესპონდენტმა და აგენტმა დასტოვეს იაპონიის არმია. რუსეთის არმიიდანაც წავიდა რამდენიმე კორესპონდენტი. ადგილობრივ მკვიდრნი სამხრეთისკენ იხიზნებიან. საზოგადოდ ადგილობრივი მცხოვრებლები მცირედ დაზარალდნენ ომიანობის გამო, რადგან მთელ მანჯურიაში ჩინებული მოსავალია და მცხოვრებლებს კარგი შემოსავალი აქვთ რუსებისაგან.

ხარბინი. „რეიტერის სააგენტოს“ მიერ გადმოცემული ოფიციალური მოხსენება ოიამასი ლიაოიანის დაჭერისა და დავლის აღების შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. ამ მოხსენებაში ორი ძველი, გაფუჭებული და განგებ დატოვებული ვაგონი და რამდენიმე დამტვრეული, პატრონების საზიდი, ურემი აღნიშნულია დიდ დავლად. რამდენიმე ქისტის კოლოფი პატრონებით და ცარიელი გილზები იაპონელებმა გადააქციეს დიდ სამხედრო მასალად.

ხარბინი. ჩვენ (რუსებმა) ლიაოიანის სანგრებსა და ფორტებზე რევოლვერის ტყვიები დავტოვეთ და ეხლა იაპონელებმა ეს ტყვიები დუმ-დუმის ტყვიებად გამოაცხადეს. ცხადია, იაპონელ მთავარ-სარდალს იმიტომ დასჭირდა ასეთი გაზვიადება, რომ იაპონიის საზოგადოებას ის მძიმე შთაბეჭდილება გაუქარვოს, რომელსაც ლიაოიანის ბრძოლის სწორე აღწერა მოახდენდა, რადგან ამ ბრძოლის დროს იაპონელებმა ვერც ტყვეები, ვერც ბევრი ზარბაზანი ვერ ჩაიგდეს ხელში, თითონ კი დიდი ზარალი მოუვიდათ.

ხარბინი, 3 სექტემბერი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). უკანასკნელ დღეებში შეტაკება არ მომხდარა. საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ იაპონიის ჯარი იერიშის მოსატანად ემზადება.

შანჰაი, 3 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო“). გაზ. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-ში დაბეჭდილია წერილი ერთის მთარგმნელ ჩინელისა, რომელიც 1897 წლიდან წარსულ აგვისტომდე პორტ-არტურის საინტენდანტოში მსახურებდა. ჩინელი სწერს, წარსულ თებერვალში საინტენდანტო 30 ათას ქვეითა ჯარის კაცს აძლევდა ულუფასაო; ამას გარდა, ფლოტის მეზღვაურებს ცალკე ეძლეოდათ სახარჯო. როცა ჩინელს ციხე მიუტოვებია, ხარჯი მხოლოდ 15 ათას კაცს-ღა ეძლეოდაო. მეზღვაურებს სამხედრო სურსათი ცოტა-ღა დარჩათ, საკვები სურსათიც მხოლოდ 5 კვირას ეყოფათო.

ჩიფუ, 3 სექტემბერი („რეიტერ. სააგ.“). ის ჩინელი, რომელმაც ამბავი მოიტანა, რომ იაპონელებმა 26 და 28 აგვისტოს პორტ-არტურთან სიმაგრეები აიღესო, ამბობს, ერთ რუსის ნაღმიან გემს, რომელიც დოკში ჰკეთდებოდა, იაპონელების ყუმბარა მოჰხვდა და სამუდამოდ დააზიანაო. ეს ყუმბარა იაპონიის ფლოტის გამოსროლილი იყო; იაპონიის ესკადრა ეხლა უფრო ახლო მიდის ნავთსადგურთან, ვიდრე აქამდე მიდიოდა და ყოველ დღე რამდენსამე ყუმბარას ესვრის პორტ-არტურსაო. ამ ყუმბარებმა რამდენიმე მაშინა დაანგრიეს დოკებში და 1 აფიცერი და ორი სალდათი მოჰკლესო. ამბობენ, იაპონელების მიერ დაჭერილ სიმაგრეს დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა პორტ-არტურის დაცვისათვისაო. რუსებს სუსტი წინააღმდეგობა გაუწევიათ, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ, ალბათ, იაპონელებს მხოლოდ [illegible] სიმაგრე აუღიათ.

ამ პოზიციის შტურმი 18 აგვისტოს დაწყებულა. ჩინელი ამბობს, სამხედრო გემების ზარბაზნები, 25-30 სანტიმეტრიან ზარბაზნებს გარდა, რუსებმა სულ ხმელეთის ბატარეებზე გადაიტანესო.

პარიზი, 3 სექტემბერი. იაპონელები მალე სეულ-გენზანის რკინის გზას აშენებას შეუდგებიან. ფუზან-მოზამპოს რკინის გზის აშენებას ორის კვირის შემდეგ დაიწყებენ. იაპონია მალე ბევრ რკინის გზას ააშენებს. ზავის ჩამოგდების დროს ამ რკინის გზებს საბუთად გამოიყენებს და კორეაზე კონტროლის უფლებას მოითხოვს.—იაპონიის ელჩმა გაიაშიმ ლონდონში სთქვა: ძლიერ სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ იაპონიას არ შეუძლიან იმდენ ხანს იომოს, რამდენ ხანსაც რუსეთი იომებსო. ადვილად შესაძლებელია, რომ ამ ომმა ორსავე სახელმწიფოს ძალ-ღონე გამოულიოს, მაგრამ ამ მოქანცვის შედეგი, უეჭველია, რუსეთზე უფრო ცუდ გავლენას იქონიებს, ვიდრე იაპონიაზე, რადგან იაპონია მხოლოდ თავის არსებობის დასაცველად იბრძვისო. შემდეგი დიდი ბრძოლა ტელინს ახლო მოხდება. სამხედრო მოქმედება ზამთარშიაც არ შეწყდება. ბოლოს დროს იაპონიამ ბევრი ახალი სატრანსპორტო გემი შეიძინა, რკინის გზაც ჩაიგდო ხელში და ამით ჩრდილოეთისაკენ გალაშქრება გაიადვილა. პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს იაპონელები დამშევით დაიმორჩილებენ, თუმცა ამ დამშევას, რასაკვირველია, უფრო დიდი ხანი დასჭირდება. როცა პორტ-არტურს ავიღებთ, სულ მცირედ 50 ათასი ჯარისკაცი გაგვინთავისუფლდება და ჩრდილოეთისაკენ გაიგზავნება, თუმცა იაპონელებს არცკი სჭირიათ მაშველი ჯარიო.

ბერლინი. „ბერლინერ ლოკ. ანცაიგერ“-ს ატყობინებენ მუკდენიდან: იაპონელებს ლიაოიანში მხოლოდ მცირე ჯარი უდგათო. უმთავრესი ჯარი იანტაის ახლო უდგათ. ხმა დადის, იაპონელები ახალ მეოთხე არმიას ადგენენო. ეს არმია გენ. კუროკის მარჯვნივ დადგება და რუსის ჯარის მარჯვენა ფრთეს გვერდიდან მოუვლისო. ახალ არმიას სამი დივიზია ეყოლება. ამბობენ, იაპონიის ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა, სამხედრო სურსათიც გამოელია და ამიტომ ლიაოიანთან შედგაო.

მუკდენი, 2 სექტემბერი („რეიტერის სააგენტო“). ხმა დადის, იაპონელებმა მუკდენისაკენ გამოილაშქრესო; რუსებიც დიდ ჯარს დაახვედრებენ წინაო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბირჟევია ვედომოსტ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტელინიდან: იაპონელები ლიაოიანის ვაკე ველზეც ისე კარგად იბრძოდნენ, როგორც მთაში; ადრე ამბობდნენ, იაპონელები შტიკით ბრძოლას ერიდებიანო, მაგრამ ლიაოიანთან ბევრჯელ თითონაც მიიტანეს შტიკებით იერიში რუსებზე. ერთის სიტყვით, სულ სხვანაირად მოაქცნენ, ვიდრე წინად იქცეოდნენ ხოლმე. შესანიშნავია, რომ იაპონელებმა ლიაოიანთანაც არ უღალატეს თავიანთ საყვარელ ტაქტიკას: სამხრეთით მედგარი დემონსტრატიული იერიში მიიტანეს რუსის ჯარის მოსატყუებლად, ამ დროს ჩრდილოეთისაკენ დიდი ჯარი გაგზავნეს და რუსის ჯარს გვერდიდან მოუარეს. შესანიშნავია აგრეთვე, რომ ყოველთვის, როცა გენ. კუროკი გამოილაშქრებს, გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს არმიები სადღაც მიიმალებიან ხოლმე, რუსის მოწინავე რაზმებს ჰშორდებიან და ყველას ისე აჩვენებენ, თითქო სამხრეთისაკენ იხევენ. რუსის კორესპონდენტებიც მაშინვე დეპეშებსა ჰგზავნიდნენ, იაპონელები სამხრეთისაკენ მიდიანო. იაპონელები ამ მოხერხებულ მანევრებს განგებ ხმარობდნენ, რომ რუსის მზვერავს იმათი ჯარის ამბავი ვეღარ გაეგოთ; მართლაც რუსები ვეღარ იგებდნენ, სად რამდენი ჯარი ედგათ იაპონელ სარდლებს და საით აპირებდნენ გალაშქრებას. თითონ იაპონელები-კი რუსის ჯარის ამბავს ყველაფერს რიგზე იგებდნენ. ეხლაც ყველა მხრიდან ამბავი მოდის, ვითომ იაპონელებმა ლიაოიანისაკენ დაიხიესო. აქედან სჩანს, რომ იაპონელები მდინარე ტაიძიხის გაამაგრებენ, ჯარს შეასვენებენ და მერე-კი გენ. კუროკი უცებ სადმე მუკდენის აღმოსავლეთით გამოჩნდება, გენ. ნოძუ და ოკუ სამხრეთიდან წამოკლენ. რუსებს ახალი ჯარი მოსდით, მაგრამ ესეც ვერა ჰშველით, რადგან გენ. კუროკი მუდამ ჩრდილოეთისკენ იწევს და რუსის ჯარს მუდამ გზის მოჭრას ემუქრის. („ბ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: გენ. კუროკი მუკდენიდან 30 ვერსის მანძილზე დგას, აღმოსავლეთ მხარეს, და პირდაპირ ტელინისკენ მიდისო. ოკუს არმია მუკდენის დასავლეთით დგას, გენ. ნოძუს არმია სამხრეთით; იაპონელების მოწინავე ჯარი მუკდენის გზაზე სილიხესა და საილიძეს შუა დგას. იაპონელები მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოქმედებისათვის ემზადებიანო. („ბ. ვ.“).

„კენიგ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: მუკდენის დასავლეთით იაპონელებს 40 ათასი ჯარისკაცი უდგათო. („ბ. ვ.“).

„ნ. ფრ. პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: მუკდენში იქნება უფრო მეტი სამხედრო და საკვები სურსათი ჰქონდეთ დამზადებული რუსებს, ვიდრე ლიაოიანში ჰქონდათ. მაგრამ რადგან რკინის გზა ლიაოიანის სურსათისა და დაჭრილების ზიდვას უნდება, შეიძლება რომ მუკდენიდან სურსათის წაღება ვეღარ მოასწრონ. ტელინის გამაგრებასაც კარგა ხანი დასჭირდება. აქედან სჩანს, რომ გენ. კუროპატკინი მდინარე ხუნხეზე მუკდენის სამხრეთით ძლიერ რაზმს დასტოვებს და იაპონიის ჯარს შეაყენებს. კერძო ცნობებიდანაც სჩანს, რომ იქნება ბრძოლა მუკდენსა და შახეს შუა მოხდეს სადმე, მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. („ბ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ი იუწყება: ლიაოიანიდან უკან დახევის დროს რუსის არმია ხუთ რაზმად გაიყო. პირველი რაზმი ამ ქამად ტელინს მივიდა, მეორე მუკდენსა და ტელინს შუაა, მესამე—მუკდენშია; მეოთხე რაზმი გენ. მეიენდორფის უფროსობით მესამე რაზმს მოსდევს და დასასრულ მეხუთე რაზმი—12 ათასი კაცი—სულ უკან მოდის და ძლიერ გაუჭირდება მუკდენამდე მისვლა, რადგან იაპონელები სამის მხრიდან მისდევენ ამ რაზმს. საეჭვოა, რომ მუკდენთან დიდი ბრძოლა მოხდეს. თუ გენ. მეიენდორფი გენ. კუროკს შეაყენებს, მაშინ დიდი ბრძოლა ტელინთან მოხდება; თუ გენ. კუროკის ვერ შეაყენებენ, მაშინ არც ტელინთან მოხდება ბრძოლა და რუსები ხარბინამდე დაიხევენო. („რ. ვ.“).

„ნ. ფრ. პრესე“ იუწყება: იაპონელებს დიდ-ძალი ფოლადის რელსი და სხვა რკინის გზის მასალა მოაქვთ სან-ფრანცისკოდანაო (ამერიკიდან). სან-ფრანცისკოში ფიქრობენ, იაპონელები ამ მასალით მანჯურიაში სავაჭრო რკინის გზებს ააშენებენო. („რ. ვ.“).

ფრანგული გაზეთები სწერენ, გერმანიის შუამავლობის გაწევა და იაპონიისა და რუსეთის მორიგება ჰსურსო; გერმანული გაზეთები-კი ამტკიცებენ, ეს ცნობა ტყუილია, ჯერ მორიგების დრო არ მოსულაო („მ. ვ.).

ბრძოლა ლიაოიანთან. რუსის ჯარის ზარალზე ჯერ ოფიციალური ცნობა არაა გამოცხადებული. ეს ზარალი ჯერაც არაა გამოკვლეული. უცხოეთის გაზეთები წინად სწერდნენ, ლიაოიანთან რუსებს 32 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო; ეხლა ზოგიერთი გაზეთი, მუკდენიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ამტკიცებს, რუსების ზარალი ლიაოიანთან 50 ათას კაცამდე ადისო. (ბ. ვ.)

„ნ. ფრ. პრესე“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: ლიაოიანთან მოკლულ რუსის შტაბ აფიცრებს იაპონელებმა ბარათები უპოვეს. ამ ბარათებიდან სჩანს, რომ გენ. კუროპატკინს 28 აგვისტომდე ეწადა ლიაოიანთან გამაგრება. გენ. კუროპატკინს იმედი ჰქონდა, რომ მანამდე დიდ-ძალი ცხენი მიუვიდოდა და მთელ თავის ქარავანსა და სურსათს ჩრდილოეთისაკენ გაგზავნიდა; ამავე დროს მუკდენში ახალ ჯარს შეჰყრიდა—32 ათას კაცს 270 ზარბაზნით—და დაქანცულ იაპონელებზე იერიშს მიიტანდა. (რ. ვ.)

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი სწერს: ლიაოიანთან ბრძოლის დროს იაპონელების მთავარ-სარდალი ოიამა და იმისი შტაბის უფროსი, გამოჩენილი სტრატეგი გენ. კოდამა გენ. ოკუს არმიის ახლო იდგნენ. გენ. კუროკისა და ნოძუს ტელეგრაფით ელაპარაკებოდნენ, გენ. ოკუსთან კი შიკრიკებსა ჰგზავნიდნენ. რუსებს მეტად მაგარი პოზიციები ჰქონდათ, შუშანპოსა და ვუსიენის გორები თითქმის მიუვალ სიმაგრეებად ითვლებოდა, მაგრამ გენ. ოკუს ქვეითა ჯარის მედგარ იერიშს ვერავინ გაუძლებდა. ოკუს ჯარი ახალ წესზე მიდიოდა იერიშით. დივიზიები პატარ-პატარა ჯგუფებად იყოფოდა, თითო ჯგუფში 15 კაცი დგებოდა ერთად, თოფის დაუცლელად წინ მირბოდა და მიწაზე წვებოდა; ამათ სხვა ჯგუფები მისდევდნენ. როცა რუსებს სათოფედ უახლოვდებოდნენ, წვებოდნენ, თოფის სროლას იწყებდნენ, შემდეგ ისევ ზეზე დგებოდნენ და სირბილით რუსებზე იერიში მიჰქონდათ. იერიშის დროს ბევრი აფიცერი და უნტერ-აფიცერი მოუკლეს იაპონელებს, მაგრამ ჯარის-კაცები მაინც მედგრად მიიწევდნენ წინ. ყოველმა უბრალო ჯარის-კაცმა წინადვე კარგად იცოდა, რიგორ მოქ[illegible]ლიყო და რა გაერიგებინა. („[illegible]“).

პორტ-არტური. იაპონურ გაზ. „იოკაგამა დეილი მეილ“-ში საინტერესო წერილია დაბეჭდილი პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარის ცხოვრებაზე: „პორტ-არტურელებმა თითქმის არაფერი არ იციან, როგორ მიდის ომის საქმე; მომეტებულ ნაწილად სულ ტყუილი ცნობები მისდით. პორტ-არტურელებმა მხოლოდ ის იციან, რომ ქალაქის გარშემო იაპონელები დგანან; სხვა არაფერი. თავიანთი ცხოვრებაც ისე დაგვარად მოაწყეს. რიგიანად მოწყობილ სადგომების ნაცვლად, ყველანი ქმოქვაბულებში და სარდაფებში დგანან, სადაც ყუმბარა იქ უფრო ვერას აკლებთ; მთელი დღე ბრძოლასა და მტრის დაზვერვს უნდებიან. მე-26 პოლკისა და ფლოტის სამხედრო ორკესტრები ხშირად ჰმართავენ კონცერტებს; მრავალი ხალხი ესწრება ამ კონცერტებს [illegible] ნოვაგისა და ყველაფრის ფასმა აიწია, პორტ-არტურელები ძლიერ რიგი ჰგრძნობენ ამ სიძვირეს, რადგან ყველას მომ[illegible]ლი ჯამაგირი ეძლევა. ყველაზე მეტად ძვირე ჩინელებს აწუხებს [illegible] -არტურში ბევრი ჩინელი რჩებოდა [illegible] რობს. თითქმის ყველანი ნებით ჩაფუშვ[illegible] ქცნენ. ვისაც გზას ქირა არ ჰქონდა, ან ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მისცა შემწეობა, ან პორტ-არტურის დოკებში მომუშავე ჩინელებმა. პორტ-არტურში მხოლოდ ის ჩინელები დარჩნენ, ვინც დიდ სამუშაო ქირას დაეხარბა და დოკებში მუშაობს. გაზეთი „ნოვი კრაი“ ადრე მთელი დიდი ოთხ-გვერდიანი თაბახი გამოდიოდა, ეხლა პატარა ფურცელი-ღა გამოდის, თუმცა ხელის-მომწერლებს ეხლაც ყოველ დღე ურიგდება. წითელ ჯვრის საზოგადოებამ რამდენიმე იაფი სასადილო გამართა ღარიბ ხალხისათვის. პორტ არტურელები ყოველ დღეს ერთნაირად ატარებენ და მოუთმენლად ელიან, აბა ხვალინდელი დღე რა ამბავს მოგვიტანსო. („რ.

ახალი ამბა[illegible]

◆ **ქუთაისის საეპარქიო კრებაზე,** როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ, დაუდგენიათ, გაგზავნონ მის უდიდებულესობის სახელზე მისალოცი დეპეშა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო და იშუამდგომლონ: ეპატიოთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს ჩადენილი დანაშაული და ხელ-ახლა გახსნილ იქმნას ქუთაისში სასულიერო სემინარია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზე. ხელმწიფე იმპერატორის წინაშე შუამდგომლობის წარსადგენად არჩეულ იქმნა დეპუტაცია დეკ. ლამბაშიძის მეთაურობით.

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** 3 სექტემბერს, ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის თხოვნის თანახმად, დაადგინა, ნება მისცეს უსახელო საზოგადოებას გამართოს **ელექტრონის ტრამვაი ნავთლუღამდე,** იმ პირობით-კი, რომ ორი ლიანდაგი გაიმართოს, და გზა მოკირწყლოს კახეთის ქუჩამდე. ამასთან ქალაქს უფლება უნდა ჰქონდეს ელექტრონის მავთულების ბოძებზე ფარნები დაჰკიდოს ქუჩების ელექტრონით გასანათებლად. თუ, ვინიცობაა, ამ საქმის შესახებ ქალაქი საზოგადოებას ვერ შეეთანხმა,

◆ ამას წინად ბელგიის უსახელო საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს შუამდგომლობა მუშტაიდზე ტრამვაის გაყვანის ნებართვის შესახებ. გამგეობამ 3 სექტემბერს დაადგინა, რადგან შუამდგომლობის პასუხი არ მოსულია ქალაქის გამგეობას და შესაძლებელია კიდევ დაგვიანდეს, წინადადება მიეცეს უსახელო საზოგადოებას, შესცვალოს დიდუბისაკენ მიმავალ გზის ლიანდაგის მიმართულება და მუშტაიდის ქუჩის ნაცვლად გაიყვანოს ლიანდაგი ელისაბედის ქუჩაზე.

◆ 3 სექტემბერს მოხდა კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების** კრება. მორიგ საქმეთა განხილვის დროს, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ დაადგინა, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს რუსის უდროოდ გარდაცვლილის მწერლის ან. პ. ჩეხოვის ქვრივს.

◆ საქართველოს საექსარხოსოს **სასულიერო სასწავლებლებში კურს-დასრულებულთაგან ტფილისის** სემინარიაში შესვლის სურვილი განაცხადა 91 კაცმა. ამათგან სემინარიის საპედაგოგო საბჭომ მიიღო 46 კაცი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 3 სექტემბერს დაადგინა, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების **დასუფთავებისა და მოკირწყვლის** საქმის მეთაურობა მიანდოს ტეხნიკოსს ა. მ. ჩახმახსაზიანცს.

◆ ამას წინად ტფილისის ბავშვთაიკის მზრუნველმა საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას ადგილი ვერის ხიდის ზემოდ, სატივე ადგილების გვერდით. აქ უნდა გამართონ **საბავშვო ბაღი და სათამაშო-გასართობები.** ქალაქის გამგეობამ დღეისათვის მიიწვია საბჭოს ხმოსნები ხსენებულ ადგილის დასათვალიერებლად.

◆ **ბათუმის ქალაქის გამგეობამ** სთხოვა [illegible]ში დეპეშით ტფილისისას, შეატყო[illegible] რა ფასია ამ ჟამად საკლავ საქონელ[illegible]ლისში და როგორის ნიხრით იყიდე[illegible]ცი. ქალაქის გამგეობამ გუშინვე აც[illegible]რომ ფუთი ხორცი ამ ჟამად 3 მან. მან 5— ხოლო [illegible] ხორცის ნიხრი 8 [illegible]იაო.

◆ დუშეთის მაზრაში ივლისს შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. მლეთში გრიგოლ პოპოვდუპულოს ბაკში ვიღაც ქალი, სახელად ლიუბა, უეცრივ გარდაცვლილა; გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იგი ბნედით მომკვდარა; ეს ქალი კავკავიდან ფეხით მოსულა; 2. სოფ. მილახვრიანთ კარის მცხოვრები ალექსი მურდალაშვილმა კეტით თავი გაუპო თავის მეზობელ დიმიტრი მურდალაშვილს, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა; 3. სოფ. სტეფან-წმინდის მცხოვრები ჯაგალა ეფნოშვილი, როდესაც კავკავიდან ბრუნდებოდა სიმინდის ურმით, უცებ ურემი ხრამში გადაუვარდა და დაიღუპა ურმიანათ.

◆ სოფ. გოგაშენში (ახალ-ქალაქის მაზრა) გიორგი ნათენაძე, როდესაც ღვინის ქვევრს რეცხავდა, შიგ ჩავარდა. მიეშველნენ, ამოიყვანეს, მაგრამ ნათენაძე უკვე გარდაცვლილიყო.

◆ სიღნაღის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა [illegible]ის განმავლობაში: 1. სიღნაღის მცხოვრე[illegible] ფესულოვს ტყეში დახვედრიან შეიარა[illegible]როტ-მომქმედნი, რაც რამ ჰქონია, [illegible] მძიმედ დაუჭრიათ; 2. სოფ. კაკაბეთ[illegible] ცეცხლი გასჩენია ადგილობრივ გლეხის ანდრო ბალდადიშვილის ბეღელს, პურით სავსეს, და მარანს. ზარალი 100 თუმნისაა; 3. ქოჩალოსა და ახალ-მიხაილოვკას შუა ორმა შეიარაღებულმა ლეკმა გაძარცვეს გზაზე სოფ. ძველ-გავაზის მცხოვრებლები ივანე ბოლათაშვილი და წაართვეს 500 მანეთი; 4. მსხლის გორასთან დაღესტნის ლეკები [illegible]ლტა-უსეინ-მუსა ოღლი, ახუმ-დოუტ-მაგმატ-ოღლი და ყურბან-ოღლი თავს დაესხნენ თავ. სვიმონ ანდრონიკაშვილის ბინას და გაირეკეს 168 სული ცხვარი; 5. სოფ. ნანიანში მცხოვრებ დათიკო და [illegible] კვირიკაშვილებს მოჰპარეს 40 სული მსხვილ[illegible] საქონელი.

◆ გუბერნატორის წინადადებისამებრ, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ სადგურის გამგე სიმონ ბოროდინოვი.

დღევანდელ **№-თან** ხელის მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-251 **№**, რომელშიაც მოთავსებულია: „ატესტატი“ მოთხრ. ნინო ნაკაშიძისა; სხვა-და-სხვა ამბები. სურათები: „ადმირალი ტოგო“, „იაპონელები მთაზე ზარბაზნებს სდგამენ“; „ბრძოლა გიჟლოუსთან“ და ორი კარიკატურა.

რუსეთის ქრონიკა

◆ კიევის გაზეთები იუწყებიან, რომ 22 აგვისტოს დაბა სმელაში მართლმადიდებელი მცხოვრებლები თავს დაესხნენ ებრაელთ. ერთი მართლმადიდებელი ადგილობრივ მკვიდრი ებრაელს წაეჩხუბა თურმე და ეს გარემოება გახდა საერთოდ ებრაელებზე თავდასხმის მიზეზი. ხალხი მიესია ებრაელთა სახლებსა და დუქნებს და დაარბია. სახლებში მრავალი ფანჯარა და კარებია ჩამტვრეული. საღამოზე ხალხი დაცხრა, მეორე დღეს კი ისევ მიესია ებრაელებს. ადმინისტრაციამ ჯარი გამოიწვია ქ. ჩერკასიდან და დაამშვიდა ხალხი. დაიჭრა რამდენიმე კაცი. დაპატიმრებულია 70 კაცი. დანგრეულია 100 სახლი და 150-მდე დუქანი. ზარალი დიდია.

◆ ოდესის პოლიცია ყოველ დღე აპატიმრებს მრავალ მათხოვარს და სამართალში აძლევს მათხოვრობისათვის. მომრიგებელი მოსამართლეები ვერ აუდიან თურმე ამ საქმეებს და უმრავლეს შემთხვევაში ამართლებენ ამ მათხოვარ ხალხს, რომელიც საერთო ქესატობამ, სამუშაოს უქონლობამ და მძიმე დროებამ გამოაგდო ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად.

◆ მოსკოვის სპეციალურ სკოლაში, სადაც უცხო ენებს ასწავლიან, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის დამოკიდებულების დამახასიათებელი შემდეგი შემთხვევა მომხდარა. გერმანული ენის მასწავლებელმა გაკვეთილი ჰკითხა ერთ მოწაფეს და შეამჩნია, რომ მას რაღაც წიგნი უჭირავს ხელში. მასწავლებელმა მოსთხოვა წიგნი და როცა ხელში იღებდა, წიგნიდან ქაღალდის ნაფლეთი გამოვარდა. მოწაფემ მსწრაფლ წაავლო ხელი ამ ნაფლეთს და ჯიბეში ჩაიდო. მასწავლებელმა მკაცრის კილოთი მოსთხოვა ნაფლეთი, მაგრამ მოწაფე გაჯიუტდა და არ მისცა. გაბრაზებულმა მასწავლებელმა რამდენიმე მუჯლუგუნი შესთავაზა მოწაფეს. მერმე საყელოში სტაცა ხელი და წიხლის კვრით გარედ გააგდო. ატირებული მოწაფე შინ დაბრუნდა და ყველაფერი თავის მამას უამბო. უკანასკნელი იმ დღესვე ეწვია მასწავლებელს; მათ შორის ჩხუბი მომხდარა და გაულახავთ ერთმანეთი. ეს საქმე მოსკოვის მომრიგებელ სასამართლოში გაირჩა. მოსამართლემ მიუსაჯა 4 დღით დაპატიმრება მასწავლებელს, მოსწავლის მამას კი — 25 ჯარიმა.

◆ გაზ. „კრაი“-ს სიტყვით, ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს პოლონეთში საერობო რეფორმის შესახებ. განზრახვა აქვთ, დააარსონ განსაკუთრებული საგუბერნიო და სამაზრო საერობო საბჭოები. საგუბერნიო საბჭოები სავსებით უნდა დაუქვემდებარონ გუბერნატორებს, სამაზრო საბჭოები კი — მაზრის უფროსებს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროში შუამდგომლობანია აღძრული ყაზანსა, ხარკოვსა, ეკატერინოსლავსა და სხვა ქალაქებში სამეურნეო ინსტიტუტების დასაარსებლად. სამინისტრომ დაადგინა, ნოემბერში კომისია აირჩიოს; ეს კომისია გადასწყვეტს, რომელ ქალაქში უნდა გაიხსნას სამეურნეო ინსტიტუტი.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ნებართვა მისცა ქალთა სამეურნეო განათლების დამხმარე პეტერბურგის საზოგადოებას გახსნას ქალთათვის სამეურნეო კურსები.

◆ ინჟინერს ლიპნოვსკის გამოუგონია ჰაერში მფრინავი ახალი სისტემის მანქანა. შიგ მჯდომ აერონავტს შეუძლია თავის სურვილისამებრ მიმართულება მისცეს ჰაერში ამ მანქანას.

◆ „სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტო“ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან შეიცვალება „პეტერბურგის სატელეგრაფო სააგენტოდ“, რომელსაც ეყოლება ყველა ქვეყნებში, რომლებთანაც რუსეთს რაიმე პოლიტიკური ან სავაჭრო დამოკიდებულება აქვს, საკუთარი კორესპონდენტები. სააგენტოს მიზანი იქნება: მიაწოდოს რუსეთსა და უცხო ქვეყნებს სხვა-და-სხვა ცნობები ფინანსთა, პოლიტიკურ ცხოვრებისა და ვაჭრობის შესახებ. სააგენტო მოწადინებულია იმგვარივე ადგილი დაიჭიროს რუსეთში, როგორიც უჭირავს „რეიტერის სააგენტო“-ს ინგლისში, „ვოლფისას“—გერმანიაში, „ჰავასისას“—საფრანგეთში და „კორესპონდენტ ბიურო“-ს—ავსტრიაში.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აცნობა სახელმწიფო მამულების ადგილობრივ გამგეობათ, რომ იმათ ეძლევათ უფლება, სამინისტროში ნებართვის დაუკითხავად, თვითონ გადასწყვიტონ შემდეგი საქმეები: უფასოდ ხე-ტყის დათმობა პირველ-დაწყებით სკოლებისათვის; უფასოდ ან შეღავათიან პირობებით ხე-ტყის გაცემა დიდ მოუსავლობისა და სხვა უბედურ შემთხვევათა დროს სოფლის საზოგადოებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად; სოფლის სკოლებისათვის 3 დესიატინამდე ადგილის დათმობა. სამინისტრო ავალებს ადგილობრივ გამგეობათ, ფრთხილად მოიქცნენ ამ საქმეთა გადაწყვეტის დროს.

◆ ვარშაველ ებრაელთ შეუდგენიათ ამხანაგობა, რომლის მიზანია ფულის შეკროვება და პალესტინაში ადგილების შეძენა ებრაელთა დასასახლებლად.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარია კომისია სატელეგრაფო სააგენტოების მოქმედების გასაუმჯობესებლად. განზრახვა აქვთ სააგენტოები შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში მოათავსონ და ამ სააგენტოების განსაკუთრებული გამგეობა დააარსონ.

◆ აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტი ქ. ნეჟინში დაიხუროს და იმის მაგიერ სამეურნეო ინსტიტუტი დაარსდეს. უმთავრესი მიზეზი — ინსტიტუტში მოსწავლეთა სიმცირეა.

◆ საერო განათლების დეპარტამენტმა განუმარტა ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ მიმდინარე წელს რუსეთის გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში სწავლება უცვლელად დარჩება.

წერილები

ოზურგეთი. შარშან აქაურმა ნოქრებმა ითხოვეს კვირა-უქმე დღეს დასვენება. ხანგრძლივის მოლოდინის შემდეგ მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა. ამ ამბავმა აქაური ვაჭრები, მეტადრე ჩარჩები, ძალიან გააჯავრა. „არა უშავს რა, დღეს იკეტება დუქნები, მაგრამ შემდეგ აღარ დაიკეტებაო“, გაიძახოდნენ ვაჭრები. ასრულდა კიდეც ეს წინასწარმეტყველება. დღემდე თუ შაბათ საღამოდან კვირის თერთმეტ საათამდე იკეტებოდა დუქნები, დღეს კვირა დილის ცხრა საათიდან ძლივს იკეტება; აქამდის თუ კვირა საღამოს 4 საათიდან ორშაბათ დილამდე იკეტებოდა, დღეს ვხედავთ, რომ კვირა საღამოს დუქნებში გაჩაღებული ვაჭრობაა. ერთის სიტყვით, ყველაფერი ძველებურად არის და ჩვენი ნოქრებიც კვლავ ძველებურ ყოფაში არიან.

აგერ თითქმის ექვსი თვე გადის მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ოზურგეთის ქალაქის სახალხო სამკითხველოსი. ჩვენი „მამები“ მისცემიან საღათას ძილს და ოზურგეთი დღესაც უსამკითხველოდაა. იმედია, აწი მაინც შესაფერ ყურადღებას მიაქცევენ ასეთ ფრიად მნიშვნელოვან საგანს. 28 აგვისტოს დასრულდა მისაღები ეგზამენები სამოქალაქო სასწავლებელში. მიუხედავად გურიის გაჭირვებულ მდგომარეობისა, წელს მთხოვნელები მაინც ბევრი იყო. ბევრი ახალგაზრდა დარჩა, უადგილობის გამო, პირში ჩალა გამოვლებული. კარგი იქნება, რომ პარალელური განყოფილებები დაარსდეს.

ვანო ქარცივაძე

ხარაგაული (ზემო იმერეთი). როგორც იყო, 28 აგვისტოს მოხდა კრება ადგილობრივ წიგნთსაცავ-სამკითხველოს წევრთა. კრებას უნდა განეხილა წარსულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, — ამოერჩიათ გამგეობის რამდენიმე წევრნი და აღმოეჩინა რაიმე საშუალება დაწესებულების ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღმოჩნდა, რომ სამკითხველოს დღეს ჰქონია 71 მანეთი და 14 კაპეიკი. ანგარიში, რადგან სარევიზიო კომისიას არ განუხილავს, დაუმტკიცებელი დარჩა. გამგეობის წევრნი, გარდა ერთისა, ახლები აარჩიეს. კრებაზე გამოირკვა, რომ იმ საშუალებით (კერძო შემოწირულება და საწევრო ფული), რომლითაც სამკითხველო აქამდის ბოგინობდა, შეუძლებელი იყო დაწესებულების არსებობა; ამიტომ წევრებმა საჭიროდ სცნეს წიგნის საწყობის გახსნა, რომლის შემოსავალიც გასავალს მოხმარდება. ამ აზრის განსახორციელებლად სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარემ კნ. ე. ლორთქიფანიძისამ ასესხა საზოგადოებას წლის ვადით უსარგებლოდ 400 მან. მართვა-გამგეობა წიგნის საწყობისა და სამკითხველო-ბიბლიოთეკის თვალ-ყურის გდება ითავა ადგილობრივმა მასწავლებელმა. საწყობი დაიწყებს მოქმედებას სექტემბრის პირველ რიცხვებიდან, ასე რომ მომავალში, თუ წიგნის საწყობის საქმე რიგიანად წავიდა და მახლობელმა მასწავლებლებმაც დახმარება გაუწიეს ამ საქმეს სასწავლო ნივთების გასაღებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკაც კარგად მოეწყობა. დადგა სწავლის დაწყების დრო და აუარებელი ხალხი მიაწყდა ადგილობრივ სკოლებს, რომ თავიანთი პაწაწა ბავშვები მიაღებინონ.

ს. გრიგოლიშვილი

სადგ. მუღანი (ბაქოს გუბერნია). ქურდობამ აქაც იჩინა თავი. 27 აგვისტოს, ღამე შეუვარდნენ ბინაში მეისრეს ივანე ძნელაძეს და, რაც გაჩნდა, სულ წაიღეს. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა კარგად იცოდნენ, რომ მეისრე ამ დროს თავის თანა[illegible] ასასრულებლად იყო წასული და ამ სტუმრებს არავითარი დაბრკოლება არ მოუვიდოდათ. წაუღიათ ქამარი ვერცხლისა და შინაური საქონელი, 100 მანეთისა. მერე დაუპატიჟებელ სტუმრებს მოუსურვებიათ იქვე მცხოვრებ სადგურის უფროსის თანაშემწის ა. ლ. ჭალაგანიძის სახლი შესვლა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაგრა დაჰხვედრია.

აჭაური

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

პეტერბურგი, 3 სექტემბერი. „შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ზანზიბარი. 3 სექტემბერს „სმოლენსკ“-ი და „პეტერბურგ“-ი წავიდნენ დარიეს-სალამიდან. დილას ეს კრეისერები არა სჩანდნენ ზანზიბარისა და აფრიკის ნაპირების შუა სრუტეში, თუმცა სადარაჯოდ იდგა კრეისერი „ფორტეი“. რუსის კრეისერები სამხრეთისკენ წავიდნენ. შესაძლებელია, ზანზიბარის სამხრეთის მხრიდან შემოუარეს და ჩრდილოეთისკენ გაემართნენ აღმოსავლეთის ნაპირის გაყოლებით.

სტამბოლი, 3 სექტემბერი. რუსის კრეისერმა „ტერეკ“-მა გააჩერა 24 აგვისტოს წმინდა ვიკეს კონცხთან ინგლისელთა გემი „მარგატ-გრეტელ“, რომელსაც კარდიფის ქვა-ნახშირი მიჰქონდა სულინში. „ტერეკმა“ გასინჯა ამ გემის ქაღალდები. ერთის საათის შემდეგ ინგლისელთა გემის უფროსს წინადადება წარუდგინეს, განცხადებას მოაწერეთ ხელი, რომ არავითარი დაბრკოლება არ მიგვიყენებია თქვენთვისაო. რუსის აფიცერმა ჩასწერა გემების დღიურში განცხადება გემის გასინჯვის შესახებ და გემის უფროსს აცნობა, ახლო-მახლო კრეისერებს შეხვდებით და სიგნალით აჩვენეთ, რომ თქვენი გემი უკვე გასინჯულიაო.

სან-ფრანცისკო. ამერიკის კრეისერი „ბოსტონი“ წავიდა სან-ფრანცისკოდან. ამ კრეისერმა ბრძანება მიიღო გამოარკვიოს, არის თუ არა სან-ფრანცისკოს პირდაპირ რუსისა ან იაპონიის სამხედრო გემები. „ბოსტონს“ არც ერთი გემი არ უნახავს და უკან დაბრუნდა.

ლონდონი, 4 სექტემბერი („რეიტერის საგ.“). ტოკიოდან მიღებულ ცნობებით, იაპონიის მთავარმა შტაბმა განკარგულება მოახდინა იმ მილიციის მობილიზაციის შესახებ, რომელიც შეადგენს იაპონიის ჯარის რეზერვს. ამ ჟამად ჯარში გაჰყავთ და ამ წლის ბოლოს ბრძოლის ველზე გაჰგზავნიან პირველ ხარისხის მილიციას, ყველა იმათ, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, წლოვანებით 30-დან 40 წლამდე. როცა ეს ჯარი მანჯურიაში გაიგზავნება, იაპონიას დარჩება გასაგზავნად მხოლოდ უკანასკნელ ხარისხის მილიცია, რომელშიაც ბევრი სალდათი 40 წელს გადაცილებულია. მთავრობას განზრახვა არა ჰქონია გაეწვია ეს მილიცია მომავალ გაზაფხულამდე, მაგრამ რადგან პორტ-არტურისა და მანჯურიის არმიები საშინლად დაზარალდნენ, მთავრობა იძულებული გახდა დაუყოვნებლივ გაუგზავნოს იმათ მაშველი ჯარი. იაპონელთა პოლკებს შორის ყველაზე მეტად დაზარალდა კანაზავას პოლკი, რომელიც პორტ-არტურთან დგას. ამ პოლკმა დაჰკარგა ყველა აფიცერი ერთის გარდა. იაპონიის მთავრობა არ ამხელს ამ გარემოებას, რადგან შიშობს ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს ხალხში.

შანჰაი, 3 სექტემბერი. პორტ-არტურთან ხმელეთზე ყოველ დღე ბრძოლაა. რუსები ხშირად გამოდიან ციხიდან; იაპონელებმა ყოველთვის უკუ-გდეს ისინი.

ვაშინგტონი, 3 სექტემბერი („რეიტ. საგ.“) კორრესპონდენტმა ნამდვილ წყაროებიდან შეიტყო, რომ წყალ ქვეშ მა[illegible] ნავები, რომლებსაც ამ ჟამად მოს[illegible] აშენებენ, იაპონიის მთავრობისაგანაა შეკვეთილი.

მუკდენი, 1 სექტემბერი („რეიტ. საგ.“). ჩინეთის მთავრობამ წინადადებით მიმართა რუსისა და იაპონიის არმიების უფროსებს და სთხოვს, არ მოახდინონ ბრძოლა მუკდენში, არამედ სადმე სხვაგან, რათა განადგურებული არ იქმნას წმინდა საფლავნი ჩინეთის სამეფო გვარეულობისა ფულინის სასაფლაოზე. — უეჭველად მიაჩნიათ, რომ ორივე არმია აპირებს საბოლოო ბრძოლით დაასრულოს ეს ომი მდინარე ხუნის მიდამოებში.

ტიანძინი. იაპონიის მთავრობა [illegible]

მაშველ ჯარს ჰგზავნის პორტ-არტურში. ეს ჯარი ლუიზას ბუხტაში გადმოვა ნაპირზე.— ხმებია, კუროპატკინმა შეატყობინა პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს, ერთ თვეს კიდევ უნდა გავუმაგრდეთ მტერსაო.

სეული. როგორცა სჩანს, სისრულეში მოჰყავთ წინდაწინვე შემუშავებული გეგმა იმის შესახებ, რომ სეულში მუდამ იდგეს იაპონელთა ერთი დივიზია.

შანჰაი. ტოკიოს სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მთავრობა შეუდგა გეგმის შემუშავებას I-ლი ნაციონალური არმიის ორგანიზაციისათვის; ამავე არმიაში გაწვეულ იქმნება 32-დან 40-წლამდე ხნისანი, რომელთა უმრავლესობა უკვე სამხედრო სამსახურში იყო. ფიქრობენ, რომ შედგება 8 დივიზია, სულ 120 ათასი კაცი, რომლებიც ერთის თვის შემდეგ მზად იქნებიან საომრად. პეკინში ისევ სწარმოებს მოლაპარაკება „ასკოლდ“-ისა და „გროზოვოი“-ს მეზღვაურთა შესახებ. იაპონიის ელჩი დაჟინებით თხოულობს, ჩინეთმა აასრულოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მან 29 აგვისტოს დეპეშით აცნობა; ხოლო ლესარი პროტესტს აცხადებს და საბუთად ის მოჰყავს, რომ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინდაწინვე თანხმობა გამოაცხადა, [illegible] მოქცეოდა ამ მეზღვაურთ, როგორც „[illegible]ურ“-ის მეზღვაურთ მოექცნენ, ე. ი. რუსეთში დაბრუნების ნება მისცა. ჩინეთის მთავრობის ცდამ ორივე მხრის შესარიგებლად თვითონ იგი ჩააგდო საძნელო მდგომარეობაში.

პეტერბურგი. მე-27-ე დივიზიის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სკუგარევსკი დაინიშნა მეექვსე არმიის კორპუსის უფროსად.

3 სექტემბერი

ლონდონი, („რეიტ. სააგ.“). სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც სპარსეთის მთავრობამ თეირანში მყოფ ინგლისის ელჩს გაუგზავნა. სპარსეთის მთავრობა აცხადებს, რომ სპარსეთის ქვეშევრდომთ ჩამოერთვათ უფლება მიჰყიდონ ან იჯარით აძლიონ უცხოელებს კონცესსიები, აგრეთვე მთავრობის ნება-დაურთველად მოზიარეებად იყოლიონ უცხოელები სხვადასხვა კონცესსიებში. ყველა ამგვარი ხელ-შეკრულობა გაუქმებულია მთავრობის მიერ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90	
ბერლინისაზე 100 მარკაში		
პარიზისაზე 100 ფრანკში.		
ლონდონისაზე ჩეკები	94,60	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,47$^{1}/_{2}$	
ბირჟის დისკონტი	6-7$^{1}/_{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	92	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4$^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88$^{3}/_{4}$	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	388	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	305	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	256$^{3}/_{4}$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4$^{1}/_{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89	
4$^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	87	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	208	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ, საღამოს 5—7 საათ. (30—3512—15)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (Ф.—176—89)

ახალი წიგნი
„დაკარგული სამოთხე“
(პირველი ცოლქმრის ცხოვრება სამოთხეში)

ინგლისის შესანიშნავ მწერლის იოანე მილტონის თხზულება, თარგ. ვ. ბ-ძე **აბაშიძისა**, სუფთად და რიგიანად გამოცემული, ფასი. 40 კაპ. ისყიდება: წ. კ. საზ.-სა, იოსებ იმედაშვილისა, „გუტენბერგისა“, გრიქუროვის წიგნთ-სავაჭროებში და სხ. უმთავრესი საწყობი მთარგმნელთან **ქ. სიღნაღში.** ვინც ნაღდზედ იყიდის არა ნაკლებ 10 წიგნისა, თითო წიგნი 30 კაპ. დაეთმობა, გაგზავნის ხარჯი ჩვენია. ადრესი: ქ. სიღნაღში ვ. ბ. [illegible]. (3—2)



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის ფა[illegible]ს მახეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
(30—23) **ტელეფონი** № 281.

მოიკითხეთ
ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების
უდიდესი ხილეულობის
სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ: М. Е. Придонову, Тифлисъ, Сергіевская ул., № 11 и Сельск.-Хозяйст. Т-во «Колхида»— Кутаисъ. მალე დაიბეჭდება ქართულად კატალოგები, რომელიც მსურველთ უფასოდ გაეგზავნება. (10—280—6)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწაელა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

(15—258—12) ალ. გ. საათაშვილი.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით ყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

! სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწნეხ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი ($^{1}/_{20}$) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($^{1}/_{2}$ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—44)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% [illegible] და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ სურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამოწმებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—42)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—34). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურიას
ს.-პეტერბურგში.
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშ
ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლიურად „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხედში (ფაბრიკის ნიშანი). ნარდ ათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტში. და **ტფილისს**

(60—25)

Довв. цензурою 4 сентября 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა.“ Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.